

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი გაწერელია

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის საკითხები

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება, შიფრი - 02

თბილისი

2018 წელი

დისერტაცია შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

/ მ. ნოზაძე /

რეცენზენტები:

1. / ----- /

2. / ----- /

დისერტაციის დაცვა შედგება 2018 წლის "-----" -----, -----
საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი -----,
აუდიტორია -----

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში, ხოლო
ავტორეფერატის სტუ-ს ვებ-გვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

/ ლ. ბერიკაშვილი /

Abstract

In modern economics microfinance organizations are one of the important institutions of a country's finance and credit system. They are an important part of the finance infrastructure and market economics of a country. Their proper functioning helps the development and stability of the economics. Microfinance organizations are means of the financial mediation which is an alternative to commercial banks. Recently, the functioning, essence, crediting principles, and the factors that affect them have been actively studied. The modern microfinance organizations are one of the complex and interesting field of the developed countries' credit system and the capacity of a country's economic system highly depends on them. This dissertation work is dedicated to microfinance organizations and the issues of perfecting of their activity.

This work consist of 149 pages and according to the "The Instruction of Completion of the Dissertation for Doctorate Degree" it includes: title page, signature pages, copyright page, Summary, Table of Contents, List of the Tables, general text, and The Bibliography. The general text consists of the introduction, the review of the literature, discussion of the results, and the conclusion.

In the **Introduction** the relevance of the studied issue is rationalized: the goal, tasks, objects, basics of the methodology, information base, and the scientific novelty of the study are given. The importance and the structure of the work are also given.

In the **Review** of the Literature the following questions are answered: what is the origin of the problem examined in the dissertation work, what we already know about the problem, what methods are developed for solving the problem and which one of them is used in the dissertation work.

The results and their discussion are given in the three chapters with seven subtitles.

In the **first chapter** – "The Theoretic and Methodological basics of the Forming and Functioning of a Credit System" – the historic and modern theories of formation of a credit the credit market are reviewed. The two theories concerning the role and the essence of a credit are analyzed: the naturalistic and the capital creation theories; the modern theories of a credit and a credit system are given.

The credit system and its structure are studied and analyzed: the banking system (central and commercial banks); the specialized finance and credit institutions. Microfinance organizations – one of the most important credit institution of a credit system – are emphasized.

In the **second chapter** – "The Institutions of the Credit Market and their Credit Portfolios" – the credit market and its institutions' national experience is studied and evaluated; the foreign experience of credit institutions is studied and generalized; the development and perspectives of the Georgian credit market institutions are reviewed. The author logically and consequently reviews the development of the Georgian credit market and its institutions since the obtaining of the independence until today: commercial banks; microfinance organizations; credit unions; insurance companies etc.

The author explains the credit portfolio of a bank, analyzes the structure of credit portfolio of a bank which is defined according to economic branches, currency, business direction, terms, a credit volume, security, and products.

A credit portfolio of microfinance organizations and its evaluation criteria are studied and analyzed. The comparative analysis of a credit policy of microfinance organizations and commercial banks is given.

In the third chapter – “The Issues of Perfecting of the Activity of Microfinance Organizations” – the issues of perfecting of the activity of microfinance organizations are analyzed. The recommendations are given concerning the perfection of the activity of these organizations and protecting the rights of their clients. The conclusions are made concerning the characteristics of microfinance organizations and concerning the revealed negative and positive tendencies of their activity.

In this chapter the legislative base of microfinance organizations activity and their regulation is analyzed and evaluated. All the novelties and legislation changes are analyzed that have recently been implemented in order to secure the stability for the microfinance sector by The National Bank of Georgia and the respect bodies. The conclusions are drawn concerning characteristics of microfinance organizations activities and the revealed negative and positive tendencies of their activity.

In the conclusion the main results, conclusions and proposals of the dissertation study are briefly given that can be implemented for legislative and institutional provision of the credit system in the activities of the representative bodies and executive bodies of the Georgian government. Besides, the dissertation work develops the theory and the methodology of the bank and credit systems and contributes into the development of the new ways of managing the activity of microfinance organizations in the institutional, legislative and methodical aspects.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. საკრედიტო სისტემა ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და წარმატებული სფეროა, რომლის განვითარება განპირობებულია საკრედიტო დაწესებულებების პროდუქტებსა და მომსახურებაზე ეკონომიკის სუბიექტების მზარდი მოთხოვნებით.

თანამედროვე გლობალური ეკონომიკის პირობებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკრედიტო სისტემის, საბანკო და არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების, მათ შორის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის არსებული ურთიერთკავშირის შესწავლა - განხილვას. დღეისათვის უცხოეთის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების, და აგრეთვე, განვითარებადი ქვეყნების საკრედიტო სისტემები ხასიათდება მასში შემავალი საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების მრავალფეროვნებით. თუმცა, განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს საკრედიტო სისტემის მნიშვნელოვან ინსტიტუტებს წარმოადგენს კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. სწორედ აღნიშნული საკრედიტო ორგანიზაციები წარმოადგენენ სასესხო კაპიტალის ბაზრის ძირითად მონაწილეებს და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფა ხელს უწყობს ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემის გაუმჯობესებას და მდგრადობას. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების (რომლებიც მოიზარება როგორც კომერციული ბანკების ალტერნატივა) საქმიანობის და რეგულირების საკითხმა ქართულ რეალობაშიც არ დაკარგა აქტუალობა, მითუმეტეს, აღნიშნული საკრედიტო ორგანიზაციები ყველა ქვეყანაში განსხვავებული სახით ფუნქციონირებს და განსხვავებულ რეგულირებებს ექვემდებარება.

თემის აქტუალობა განპირობებულია საკრედიტო სფეროში არსებული პრობლემური სიტუაციებით, რომელთა გადაჭრაც თანამედროვე მიდგომებითაა შესაძლებელი. დღესდღეობით, ბევრი მკვლევარისათვის საინტერესოს წარმოადგენს საკრედიტო სისტემა, მასში შემავალი ინსტიტუტები, ამ ინსტიტუტების და, მათ შორის, მიკროსაფინანსო

ორგანიზაციების როლი ქვეყნის სასესხო-საკრედიტო ურთიერთობებში და აღნიშნული საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობის სრულყოფის საკითხების შესწავლა-გაანალიზება.

ამ ფონზე ცხადი ხდება, რომ ეროვნული საკრედიტო სისტემის წინაშე დასახული ამოცანების ეფექტური რეალიზაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან მოითხოვს საქმიანობის ორგანიზაციისა და განხორციელებისადმი პრინციპულად ახალი მიდგომების შემუშავებას. თანამედროვე პირობებში კონკურენტულ უპირატესობებს მიიღებენ ის მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც შეძლებენ მოქნილ რეაგირებას სასესხო კაპიტალის ბაზრის მოთხოვნილებებზე, პრაქტიკაში დანერგავენ საკრედიტო პოლიტიკის ახალ ინსტრუმენტებს და გააუმჯობესებენ კლიენტებთან ურთიერთქმედების სქემებს, რომლებმაც აპრობაცია გაიარეს საზღვარგარეთის მიკროსაფინანსო სექტორში.

ყოველივე ზემოაღნიშნული აქტუალურს ხდის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის საკითხების გამოკვლევას, რომლებიც მოიცავენ მისი ორგანიზაციის თეორიული, პრაქტიკული და მეთოდური პრობლემების გამოვლენასა და მათი გადაჭრის გზების დასახვას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე მისი ეროვნული თავისებურებების გამოვლენა და სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევის ამოცანებია:

- საკრედიტო სისტემაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ადგილისა და როლის განსაზღვრა;
- საკრედიტო სისტემაში შემავალ ინსტიტუტებს შორის კავშირურთიერთობების განსაზღვრა;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა;

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ეფექტური საკრედიტო პორტფელის სტრუქტურის განსაზღვრა;

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სრულყოფის გზების დადგენა - შესწავლა.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საკრედიტო სისტემა და მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი საკრედიტო დაწესებულება - მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

კვლევის საგანს წარმოადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა და მათი სრულყოფის საკითხების შესწავლა-გაანალიზება.

კვლევის მეთოდოლოგია ემყარება ისტორიული და ლოგიკურის ერთიანობის პრინციპს, სისტემურ მიდგომას, შედარებით ანალიზს, სტატისტიკური და ეკონომიკურ-მათემატიკური ანალიზის ხერხებს. კვლევის პროცესში გამოყენებულია შედარების, ანალოგიისა და დაჯგუფების მეთოდები.

კვლევის ემპირიული ბაზა მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის და საერთაშორისო საიტებზე განთავსებულ მონაცემებს, მსოფლიო ბანკის მიერ წარდგენილ წლიურ ანგარიშგებებს. საქართველოს კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განხილვისას მოცემული მონაცემები გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის საიტზე განთავსებული ყოველთვიური, ყოველკვარტლური და წლიური ანგარიშგებებისგან. გარკვეული ნაწილი მოიცავს ინტერნეტის, საინფორმაციო და სარეიტინგო სააგენტოების რესურსებს; დისერტანტის მიერ დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის შედეგებს.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს საკრედიტო სისტემის და, კერძოდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თეორიის განვითარებაში, საქართველოში მისი თავისებურებების გამოვლენასა და სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში. მეცნიერული სიახლეები მდგომარეობს შემდეგში:

- საკრედიტო სისტემის თეორიის განხილვის გზით მოცემულია „საკრედიტო პორტფელის“ ავტორისეული განმარტება და დასაბუთებულია საკრედიტო პორტფელის ეფექტიანი სტრუქტურის არსებობის აუცილებლობა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მდგრადი და სტაბილური საქმიანობისთვის.

- მოცემულია საკრედიტო სისტემის შემადგენელი ინსტიტუტების კომპლექსური დახასიათება და საკრედიტო სტანდარტებზე მოქმედი ფაქტორების ზეგავლენა;

- კვლევით დადგინდა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კომერციულ ბანკებთან შედარებით უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით და ნაკლები უზრუნველყოფით გასცემენ სესხებს;

- ჩატარებული კვლევების შედეგად ნათელი გახდა, რომ ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მკაცრდება საკრედიტო დაწესებულებების მიერ სესხის გაცემის პირობები. კრედიტებზე მსესხებლის მხრიდან უფრო სწრაფად იზრდება მოთხოვნები, ვიდრე საკრედიტო დაწესებულებები ახდენენ საკრედიტო რესურსების მობილიზაციას. ამას კი შედეგად მოსდევს მსესხებლის მხრიდან გადახდიუნარობის რისკის და, ზოგადად, ჭარბვალიანობის ზრდა;

- შესწავლილი და განზოგადებულია საკრედიტო სისტემაში შემავალი ინსტიტუტების საქმიანობის საზღვარგარეთული გამოცდილება, რის საფუძველზეც გაკეთებულია დასკვნები საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორის სრულყოფისა და მდგრადობის მიმართულებით.

- დამუშავებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის საკანონმდებლო-სამართლებრივი და მეთოდური უზრუნველყოფის რეკომენდაციები: დასაბუთებულია დასკვნა მარეგულირებელი ორგანოების მიერ ქვეყნის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის მოწესრიგების თვალსაზრისით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. შესრულებული სადისერტაციო კვლევა ავითარებს მიკროსაფინანსო სექტორის ფუნქციონირების თეორიასა და მეთოდოლოგიას და ხელს უწყობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობისადმი ახალი მიდგომების სიღრმისეულ დამუშავებას მისი საკანონმდებლო-სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფის ნაწილში.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს უპირველეს ყოვლისა მასში შემუშავებული და დასაბუთებული რეკომენდაციების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობაში. მეცნიერული შედეგები, განზოგადებები და დასკვნები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორის რეგულირების გაუმჯობესების მიზნით.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 149 გვერდს. შედგება შესავალი ნაწილის, ძირითადი ტექსტისა (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, სამ თავად წარმოდგენილი შედეგების განსჯა და დასკვნა) და 65 დასახელებისაგან შემდგარი გამოყენებული ლიტერატურის სიისგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, გადმოცემულია კვლევის მიზანი და ამოცანები, ჩამოყალიბებულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე, ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურის მიმოხილვაში გაცემულია პასუხი კითხვებზე, თუ საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემა, რა არის ცნობილი ამ პრობლემის შესახებ, რა ალტერნატიული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემების გადასაჭრელად, რა ნაკლოვანებებით ხასიათდება საქართველოს საკრედიტო სისტემის უმნიშვნელოვანესი საკრედიტო ინსტიტუტის - მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა თანამედროვე ფისკალური პოლიტიკა და

მათი საქმიანობის სრულყოფის რა ღონისძიებებია დასახული ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ნაშრომის პირველი თავი - „საკრედიტო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“- შედგება 2 ქვეთავისაგან. პირველ ქვეთავში - „კრედიტისა და საკრედიტო ბაზრის ფორმირების ისტორიული და თანამედროვე თეორიები“ - განხილულია კრედიტისა და საკრედიტო ბაზრის ფორმირების ისტორიული და თანამედროვე თეორიები. გაანალიზებულია კრედიტის არსთან და როლთან დაკავშირებით ორი ძირითადი თეორია: ნატურალისტური და კაპიტალშემქმნელი.

კაპიტალშემქმნელი თეორიის შემდეგ გაგრძელებას წარმოადგენდა **მონეტარიზმის თეორია**, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ ამერიკელი ეკონომისტები: მ. ფრიდმანი; ა. ბერნე; ფარნგი - ჟ. რუეფი, გერმანელი-ო.ფაიტი.

მონეტარიზმი ეწინააღმდეგება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას. მონეტარისტებისთვის ბაზარი თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელზეც ზემოქმედება შესაძლებელია, ძირითადად, ფულადი მასის მოცულობის რეგულირებით. განსაკუთრებით საყურადღებოა მ. ფრიდმანის მონეტარიზმის თეორია, რომლის თანახმად, ეკონომიკის რეგულირების ინსტრუმენტს წარმოადგენს ფულის მასისა და კრედიტზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილება. ამრიგად, კრედიტის კაპიტალშემქმნელი თეორიის დებულებები გამოიყენება თანამედროვე ეკონომიკის რეგულირების ფულად-საკრედიტო თეორიის - ნეოკეინსიანელობის და მონეტარიზმის მეთოდოლოგიურ საფუძვლად, რომელიც ეკონომიკის სტაბილიზაციის ღონისძიებების სახით ითვალისწინებს არა მხოლოდ საკრედიტო ექსპანსიას, არამედ საკრედიტო შეზღუდვებსაც.

ამ დებულებების ინტერპრეტაცია იცვლებოდა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების, აგრეთვე ბანკების როლის, საბანკო საქმის

ტექნოლოგიებისა და თანამედროვე საბანკო პროდუქტების განვითარების კვალდაკვალ.

ამავე ქვეთავში განხილულია კრედიტისა და საკრედიტო სისტემის თანამედროვე თეორიები.

მე-2 ქვეთავში - „საკრედიტო სისტემა და მისი სტრუქტურა“ - შესწავლილი და გაანალიზებულია საკრედიტო სისტემა და მისი სტრუქტურა: საბანკო სისტემა (ცენტრალური და კომერციული ბანკები); სპეციალიზებული საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები. გამახვილებულია ყურადღება საკრედიტო სისტემის ერთერთ უმნიშვნელოვანეს საკრედიტო ინსტიტუტზე - მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა წარმოადგენს სასესხო კაპიტალის ბაზრის ძირითად ელემენტს და შედგება სხვადასხვა რგოლებისაგან, რომლებიც ასრულებენ თითოეულისათვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ ფუნქციებს ფულადი საშუალებების მობილიზაციისა და განაწილების პროცესში. საკრედიტო ბაზარი თავისი განვითარების მანძილზე თანდათან იხვეწება და სრულყოფილი ხდება. საკრედიტო სისტემის ცალკეულ რგოლებს შორის ფუნქციების განაწილება ობიექტურად განპირობებულია მათი საქმიანობისათვის დამახასიათებელი მეთოდებისა და საშუალებების განსხვავებულობით და კვლავწარმოების პროცესში კაპიტალის განსხვავებული როლით.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა მოიცავს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების სამ ჯგუფს: 1. ცენტრალური ბანკი; 2. კომერციული ბანკები; 3. სპეციალური არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან ევროპის განვითარებულ ქვეყნებში კომერციულ საბანკო სექტორს არსებით კონკურენციას უწევს **სპეციალური საბანკო და არასაბანკო ინსტიტუტები**, რომელთაგან პრიორიტეტულია არასაბანკო ორგანიზაციები.

მეორე თავი - „საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტები და მათი საკრედიტო პორტფელი“ - შედგება 3 ქვეთავისაგან. პირველი ქვეთავი - „საქართველოს საკრედიტო ბაზრის ინსტიტუტების განვითარება და პერსპექტივები“ - განხილულია საქართველოს საკრედიტო ბაზარი, მისი განვითარების ეტაპები, საკრედიტო სისტემა და მისი სტრუქტურა.

საქართველოს საკრედიტო სისტემის სტრუქტურა 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 1) საქართველოს ეროვნული ბანკი; 2) კომერციული ბანკები; 3) სპეციალიზებული საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები.

საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემის ახალი სტრუქტურა შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ საკრედიტო სისტემის ფორმირებას გააჩნდა და დღესაც გააჩნია რიგი ნაკლოვანებები. საწყის ეტაპზე იქმნებოდა საფინანსო-საკრედიტო სისტემა სუსტი საკრედიტო დაწესებულებებით, საკრედიტო დაწესებულებებისათვის არსებობდა მინიმალური საზედამხედველო მოთხოვნები გაუმჯობესებას მოითხოვდა არსებული საბანკო კანონმდებლობა, რის გამოც კლიენტების ხარისხიან მომსახურებას ვერ უზრუნველყოფდნენ, ძირითადად გასცემდნენ მოკლევადიან სესხებს, გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსები კომერციულ ბანკებს ფაქტიურად არ გააჩნდათ. მოგვიანებით კი დაიწყო საბანკო კანონმდებლობის გაუმჯობესება, საბანკო ზედამხედველობის ნორმების გამკაცრება, რასაც შედეგად მოყვა კომერციული ბანკების შერწყმისა და გამსხვილების ტენდენცია.

საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემა წარმოდგენილია შემდეგი საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებით: საქართველოს ეროვნული ბანკი; კომერციული ბანკები; მიკროსაფინანსო ორგანიზაციები; საკრედიტო კავშირები; ლომბარდები; სადაზღვევო კომპანიები; საინვესტიციო ფონდები.

მე-2 ქვეთავი - „ბანკების საკრედიტო პორტფელი და მისი შეფასების კრიტერიუმები“ - შესწავლილი და შეფასებულია კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელი და საკრედიტო პოლიტიკა, მასზე მოქმედი ფაქტორები, აგრეთვე ბანკის საკრედიტო პორტფელის შეფასების კრიტერიუმები.

კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასესხო-საკრედიტო ურთიერთობების შესწავლა-გაანალიზების შედეგად, ნაშრომში

ჩამოყალიბებულია - ბანკის საკრედიტო პორტფელის ავტორისეული განმატრეხა. ბანკის საკრედიტო პორტფელი არის კონკრეტული თარიღისათვის ბანკის აქტიური საკრედიტო ოპერაციები მათი - რისკიანობის, პრობლემურობის, საკრედიტო აქტივობის ეფექტიანობის, ბრუნვადობის და საკრედიტო დაბანდებათა უზრუნველყოფის კომპლექსურ ერთობლიობაში. ბანკის საკრედიტო პორტფელის განუყოფელი ნაწილია კლიენტის საკრედიტო პორტფელი, რომელიც გულისხმობს ფიზიკური და იურიდიული პირების საბანკო კრედიტის ოპერაციის განსაკუთრებული ბალანსს კონკრეტული თარიღისათვის.

დეტალებისთვის იხილეთ ცხრილი საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია ხარისხის მიხედვით

კატეგორია (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	თანხა მლნ ლარი	წილი	რეზერვი
სტანდარტული	19 830	89.0%	2 %
ნეგატიური სესხები	2 446	11.0%	30 %
საყურადღებო	1 108	5.0%	10 %
უმოქმედო სესხები	1 337	6.0%	47 %
არასტანდარტული	757	3.4%	30 %
საეჭვო	271	1.2%	50 %
უიმედო	310	1.4%	88 %
სულ	22 276	100 %	5 %

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (წლიური ანგარიში 2017).

როგორც აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი - 89% მოდის სტანდარტულ სესხებზე, ყველაზე მცირე კი - უიმედო სესხებზე, თუმცა აქ ბანკი რეზერვების სიდიდე გაიზარდა 88%-მდე. მიგვაჩნია, რომ საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელის ხარისხი 2017 წლის ბოლოსთვის დამაკმაყოფილებლად გამოიყურება.

რაც შეეხება **საკრედიტო პორტფელის სტრუქტურას**, იგი განისაზღვრება: ეკონომიკის დარგების მიხედვით; ვალუტის მიხედვით; ბიზნესმიმართულებების მიხედვით; ვადიანობის მიხედვით; სესხის მოცულობის მიხედვით; უზრუნველყოფის მიხედვით; პროდუქტების მიხედვით. საკრედიტო პოლიტიკაში თითოეული ამ პოზიციის მიხედვით შეიძლება არსებობდეს რაოდენობრივი (მოცულობითი) ან სტრუქტურული (პროცენტული) ლიმიტები.

კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული მის ხარისხთან. **კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტები თავისი ხარისხის მიხედვით იყოფა ხუთ კატეგორიად.** „სესხების კლასიფიკაცია წარმოებს ხუთი კატეგორიის მიხედვით: ა) სტანდარტული სესხები; ბ) საყურადღებო სესხები; გ) არასტანდარტული სესხები; დ) საეჭვო სესხები; ე) უიმედო სესხები. კომერციულმა ბანკმა ყოველთვიურად უნდა მოახდინოს აქტივების კლასიფიკაცია ამ წესით დადგენილი კატეგორიების მიხედვით.

საკრედიტო პორტფელის მართვის მეორე ფუქციაა- **საკრედიტო რისკის დივერსიფიკაციის უზრუნველყოფა.** აქ იგულისხმება მოსალოდნელი ზიანის შემცირების მიზნით პორტფელში სხვადასხვა სახის, სხვადასხვა რისკის ხარისხის და ხანგრძლივობის კრედიტების თავმოყრა. საკრედიტო პორტფელის რისკების დივერსიფიკაცია ბანკს შესაძლებლობას აძლევს გააუმჯობესოს ფინანსური მაჩვენებლები და ფინანსური მდგრადობა შეინარჩუნოს.

არსებობს მსესხებლის **კრედიტუნარიანობის შეფასების შემდეგი მეთოდები:**

➤ კომპლექსური მეთოდი. კრედიტუნარიანობის შესაფასებლად გამოიყენება : ფიზიკური პირის შემოსავლების სიდიდე; ქონების საბაზრო ფასი; კრედიტის უზრუნველყოფა; დაკრედიტების პირობები.

➤ მსესხებლის (ფიზიკური პირის) შეფასება საკრედიტო ისტორიით;

➤ მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის რეიტინგული მეთოდი - სქორინგი (scoring).

კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის შეფასებისას ერთერთ მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია **ბანკის საპროცენტო პოლიტიკა.** საბანკო

პროცენტი ეს არის პროცენტის სახეობა, რომელსაც აწესებს კომერციული ბანკი საკრედიტო რესურსების გაცემისას. ჩვენი დღევანდელი რეალობისათვის საბანკო პროცენტი არის უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომლის სიდიდე და ცვლილება ერთნაირად მნიშვნელოვანია მსესხებელი ფიზიკური პირებისთვის, მეწარმეებისთვის, ფერმერებისა და ინვესტორებისათვის. რა თქმა უნდა, კომერციული ბანკი მხოლოდ თავისი სურვილით არ განსაზღვრავს საკრედიტო რესურსების ფასს. ცნობილია, რომ საბანკო პროცენტის, დონეზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელიც შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: 1) გარე ფაქტორები; 2) ქვეყნის ფაქტორები და 3) საბანკო სისტემის ფაქტორები.

კომერციული ბანკები აწესებენ საპროცენტო განაკვეთებს ქვეყნის ცენტრალური ბანკის რეფინანსირების განაკვეთის გათვალისწინებით. მსგავსი პრაქტიკა არსებობს საქართველოშიც, კომერციული ბანკების მიერ საშუალო და გრძელვადიანი კრედიტების გაცემის დროსაც. ბანკები, დეპოზიტებს მოიზიდავენ დაბალი საპროცენტო განაკვეთით და შემდეგ ამ საკრედიტო რესურსებს გასცემენ უფრო მაღალი პროცენტით. ამ სხვაობის საფუძველზე ყალიბდება საბანკო მოგების მნიშვნელოვანი მაჩვენებელი - საპროცენტო მარჟა (სპრედი)

ეროვნული ბანკის მონაცემებით, საპროცენტო განაკვეთები 2003 წელს ეროვნულ ვალუტაშიც და დოლარშიც საკამოდ მაღალი იყო ლარში - 29, 6%, დოლარში კი - 23, 4%. 2017 წლის აპრილს თუ 2003 წლის აპრილს შევადარებთ, ლარში გაცემულ სესხებზე განაკვეთი 8.6% პუნქტით, ხოლო დოლარში გაცემულ სესხებზე 14.9% პუნქტით არის შემცირებული.

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დანერგვის, მდგრადი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და საკრედიტო პორტფელის ეფექტიანად მართვის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განსაზღვრავა კომერციული ბანკების მიერ ერთი ან რამდენიმე პირისათვის, ან

ურთიერთდაკავშირებული პირებისათვის დიდი ოდენობით სესხების გაცემის ან სხვა საკრედიტო მომსახურების გაწევის ლიმიტები.

ამავე თავის მე-3 ქვეთავი - „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი და მისი შეფასების კრიტერიუმები“ - გაანალიზებული და შეფასებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პოლიტიკა და მისი შეფასების კრიტერიუმები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, წარმოადგენენ ქვეყნის საკრედიტო სისტემის უმნიშვნელოვანეს დაწესებულებას. განხორციელებული საკრედიტო ოპერაციების ხასიათით მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კომერციული ბანკის ალტერნატივას წარმოადგენს. ისინი შედარებით მცირე მოცულობის სესხებს გაცემენ და აქედან გამომდინარეობს მათი სახელწოდებაც „მიკრო“. საქართველოს კანონით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ შემდეგი საქმიანობა: ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების გაცემა; ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქაღალდებში; სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება; ფულადი გზავნილების განხორციელება; მიკროდაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა; სესხების მიღება რეზიდენტი და არარეზიდენტი პირებისაგან. იგი უფლებამოსილია აგრეთვე - ფლობდეს იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალს, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს.

აგრეთვე განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები: მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების, ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა და ამ ფინანსურ

მომსახურებებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები. ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, „მიკროკრედიტი არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული ფულადი თანხა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 50000 (ორმოცდაათი ათას) ლარს“.

საქართველოს კანონმდებლობით ეკრძალებათ საკრედიტო დაწესებულებებს მიერ ფიზიკურ პირებზე სესხის გაცემა უცხოურ ვალუტაში 100 ათას ლარამდე ექვივალენტით.

ლარის კურსის სტაბილიზაციის მიზნით მთავრობის მიერ წარდგენილი ღონისძიებებიდან, ერთ-ერთი, დოლარში სესხების გაცემის შეზღუდვას გულისხმობს. კონკრეტულად კი, საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის 29 დეკემბერს, სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ფიზიკურ პირზე 100 000 (ასი ათას) ლარამდე საბანკო კრედიტი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით.

საქართველოს სასესხო კაპიტალის ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტი ონლაინ მიკრო სესხებია. სწრაფი ონლაინ სესხის მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია: მაღალი საპროცენტო განაკვეთი, სესხის მცირე რაოდენობა, მოკლე პერიოდი.

ცნობილია, რომ კომერციული ბანკი სესხის გაცემის შემთხვევაში მსესხებლისაგან ითხოვს სესხის უზრუნველყოფას (გირაო, შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თავდებობა ან სხვა გარანტიები). მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კი სესხებს გასცემენ უფრო მარტივად და სწრაფად. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს სწრაფ და ონლაინ სესხებზე მოთხოვნის ზრდას. თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს ამოქმედებამდე, რაც ასევე გულისხმობს ევროკავშირში მოქმედ

დირექტივასთან სრულად შესაბამისობაში მოსვლას, 2018 წლის 7 მაისიდან კომერციულ ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შეეზღუდებათ გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა საზედამხედველო კაპიტალის 25%-ზე მეტად.

2017 წლის 15 იანვრიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებებით მნიშვნელოვანი შეზღუდვები ამოქმედდა სესხებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია **სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და საჯარიმო სანქციის ოდენობის მაქსიმალური ზღვრის დაწესება**, რის შედეგადაც წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 100 %-ს.

კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გამოთვლისას გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი და ამ ხარჯების გაწევის პერიოდი. გარდა ამისა, ცვლილებები შევიდა „კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების“, ასევე, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების“ წესებში, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური სანქციები, როგორც სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის, ისე „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ წესის დარღვევებისათვის.

ცნობილია, რომ მიკროსაფინანსო სექტორის დაფინანსების ძირითადი სფერო სოფლის მეურნეობაა. საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან **აგროსესხებს გაცემენ** შემდეგი ორგანიზაციები: „ფინაგრო“; „ბი აი ჯი“; „პროფინანსი“. ამასთან, ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინაგრო“-ს ძირითადი საქმიანობა ძირითადად სოფლის სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საქმიანობით დაკავებული საქართველოს მოქალაქეების და ორგანიზაციებისათვის მიკრო სესხების გაცემაა. იგი მიზნად ისახავს მცირე სესხების გაცემის გზით ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას საქართველოში. „ფინაგრო“-ს


მიერ სესხები გაიცემა როგორც არსებული საქმიანობის გასაფართოებლად, ასევე ახალი საქმიანობის დასაწყებად. ფინანსდება ნებისმიერი სახის კერძო ბიზნესი (წარმოება, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, მომსახურების სფერო).

რაც შეეხება მიკროსაფინანსოების მიერ სახსრების მოზიდვის (ვალდებულებების მოზიდვის) დღეისათვის არსებულ ფორმებს – მათი ვალდებულებები ნომინირებულია „მიღებული სესხების“ და **გამოშვებული „თამასუქების“** სახით (იშვიათად ობლიგაციური თამასუქის), რაც პრაქტიკულად იგივეა, რაც დეპოზიტები. თუმცა, დეპოზიტების ფორმა, იგივე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კლიენტისათვის არის უფრო გასაგები, ვიდრე ვალდებულებების ანალოგიური ფორმა. დღეს მიკროსაფინანსო სექტორში არსებული კომპანიებიდან თამასუქებს გაცემენ შემდეგი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები: სვის კაპიტალი; ბონაკო; რიკო კრედიტი (ოქროს თამასუქი).

საქართველოს კანონით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ მე-2 მუხლის თანახმად - **მიკროლიზინგი** – ლიზინგი, რომლის ღირებულება განისაზღვრება მიკროკრედიტის დადგენილი ზღვრით. ჩატარებული კვლევების შედეგად დავადგინეთ, რომ ქვეყნის მიკროსაფინანსო სექტორში მოქმედი 73 კომპანიიდან მხოლოდ რამდენიმე ახორციელებს მიკროლიზინგს. მათ შორის არიან: სვის კაპიტალი; პროფინანსი; ემ ბი ჯი; ევროკრედიტი; იზიმანი; საფინანსო კომპანია „ელთ კომპანი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მიკროსაფინანსო სექტორის მთლიანი საკრედიტო პორტფელი ძირითადად წარმოდგენილია სამი მიმართულებით: 1. სამომხმარებლო სესხები - 650 მლნ ლარი (პორტფელის 58 პროცენტი); 2. ვაჭრობა და მომსახურება - 249 მლნ ლარი (პორტფელის 22 პროცენტი); 3. სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა - 118 მლნ ლარი (პორტფელის 11 პროცენტი).

დეტალებისთვის იხილეთ ნახაზი მთლიანი პორტფელის სტრუქტურა



საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, რომელიც ხორციელდება კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში და გულისხმობს - ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შემოღებას, შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე სესხების გაცემის ნაწილობრივ აკრძალვას, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დანერგვას, ჩვენი აზრით, მიმართულია პირველ რიგში **ჭარბვალთანობის პრობლემის** დასარეგულირებლად. **ჭარბვალთანობის** პრობლემა კი მდგომარეობს შემდეგში: საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილს ერთდროულად აქვს სესხი აღებული კომერციული ბანკებიდან და რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან. ეს კი ზრდის მსესხებლების მხრიდან გადახდისუუნარობის რისკს. გარდა ამისა, მოსახლეობის დიდ ნაწილი თვითდასაქმებულთა კატეგორიაში გადის. აქედან გამომდინარე, მსესხებლების დიდ ნაწილს უჭირს არსებული შემოსავლების დადასტურება, რაც სესხის მომსახურების პროცედურებს ართულებს.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრედიტზე საპროცენტო განაკვეთი მაღალია კომერციული ბანკის საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით. მიკროსაფინანსო სექტორის მაღალი საპროცენტო განაკვეთები გამომდინარეობს მოჭარბებული საკრედიტო რისკისგან, რადგანაც ისინი ძირითადად გასცემენ არაუზრუნველყოფილ სესხებს და ამ სესხებთან დაკავშირებული ხარჯისგან. მაშინ რატომ არის მიკროსაფინანსო

ორგანიზაციების საპროცენტო განაკვეთები საბანკოზე მაღალი? მთავარი მიზეზი – ოპერაციული დანახარჯებია. საპროცენტო განაკვეთებში განსხვავების მნიშვნელოვანი მიზეზს ასევე საკრედიტო რესურსების ღირებულება წარმოადგენს. კომერციულ ბანკებს ხელი მიუწვდებათ ეკონომიკაში ყველაზე იაფ საკრედიტო რესურსზე (დეპოზიტები, ბანკთაშორისი კრედიტები, კრედიტი ცენტრალური ბანკისგან) მაშინ როდესაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ნაწილობრივ თავად კომერციული ბანკებიდან ფინანსდებიან ან მოიზიდავენ ფულს უცხოური კომპანიებიდან.

გამოვიკვლიეთ უცხოეთის ქვეყნებში მიკრო და ონლაინ სესხების რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები და გამოვიკვლიეთ **ესტონეთში, ლიტვაში, სლოვაკეთში, სლოვენიაში და უნგრეთში** ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების საქმიანობა, რომელიც რეგულირდება სამომხმარებლო სესხების შესახებ კანონით (Law on Consumer Credit). რა თქმა უნდა, განსხვავებულია ამ ქვეყნებში სესხზე საპროცენტო განაკვეთების და მათზე დარიცხული ჯარიმების სიდიდე, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთების სიდიდე.

მნიშვნელოვანია, რომ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების მოთხოვნა ასევე განსაზღვრულია ევროკავშირში მოქმედი იმ დირექტივით (მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების 2008/48/EC დირექტივა), რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ 2019 წლის სექტემბერამდე უნდა დანერგოს. აღნიშნული ჩარჩოს ეფექტიანი მუშაობა მოითხოვს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსა და შემოსავლების შემოწმების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ეს რეგულაცია, ჩვენი აზრით, დაკავშირებულია მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და ჭარბვალიანობის პრობლემის დასარეგულირებლად.

მესამე თავში - „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის საკითხები“ - მოიცავს ორ ქვეთავს. პირველ ქვეთავში - „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა და

მათი რეგულირება“ - გაანალიზებული და შეფასებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა და მათი რეგულირება. ასახულია სიახლეები, რომელიც ბოლო პერიოდში ხორციელდება მიკროსაფინანსო სექტორის მდგრადობისა და სტაბილურობის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკისა და შესაბამისი უწყებების მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე.

კომერციული ბანკების მსგავსად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ლიცენზიას ანიჭებს საქართველოს ეროვნული ბანკი. მათ მოეთხოვებათ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესებით რეგულირებადი სამეთვალყურო საბჭოს შექმნა. ისინი უნდა მოქმედებდნენ სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტატუსით და უნდა ჰქონდეთ დადგენილი კაპიტალის მინიმუმი.

საქართველოს კანონით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ (თბ; 2006. 18 ივლისი) მუხლი 3-ის თანახმად, „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით“.

ეროვნული ბანკი აწარმოებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციას, რა დროსაც გარკვეულ სტანდარტებს უწესებს კანდიდატ კომპანიებს, მათ დამფუძნებლებსა და დირექტორებს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საქართველოს ეროვნულ ბანკს რეგულარულად აბარებენ ანგარიშს, ხოლო ცენტრალური ბანკის საზედამხედველო პოლიტიკა მიმართულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისკენ.

რაც შეეხებათ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს - საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი განსაზღვრავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (შემდგომში – მისო) საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესსა და პირობებს. ამ წესის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ” საქართველოს კანონი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შემდეგ. „საქართველოს ეროვნული ბანკი რეგისტრაციაში გაატარებს მხოლოდ საქართველოს საგადასახადო სამსახურის მიერ დარეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირებს, რომელთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საქმიანობის სახეობა და საფირმო სახელწოდება შეესაბამება “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ”, ასევე “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონებით და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს“.

მისოს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციისათვის აუცილებელი პირობებია: ა) ფულადი სახით განაღდებული საწესდებო კაპიტალი არანაკლებ 250000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი (კანონმდებლობაში შესული ცვლილების თანახმად საწესდებო კაპიტალის სიდიდე გაიზარდა 1 მლნ ლარამდე); ბ) დირექტორი (დირექტორთა საბჭოს წევრი) უნდა აკმაყოფილებდეს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს.

კომერციული ბანკების სამართლებრივ სტრუქტურას არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონი, მეწარმეთა შესახებ კანონი და საქართველოს ეროვნული ბანკის დადგენილებები. გაანალიზებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის საკითხები. მოცემულია

რეკომენდაციები აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით. გაკეთებულია დასკვნები მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის თავისებურებების, აგრეთვე, გამოვლენილი ნეგატიური და პოზიტიური ტენდენციების თაობაზე.

მისოს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციისათვის აუცილებელი პირობებია: ა) ფულადი სახით განადღებული საწესდებო კაპიტალი არანაკლებ 250000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი (კანონმდებლობაში შესული ცვლილების თანახმად საწესდებო კაპიტალის სიდიდე გაიზარდა 1 მლნ ლარამდე); ბ) დირექტორი (დირექტორთა საბჭოს წევრი) უნდა აკმაყოფილებდეს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს.

ამასთან, 2017 წლის მარტიდან კანონში შევიდა ცვლილება, რის შედეგადაც საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციას დაუწესოს მის მიერ გაცემული მიკროსესხების რეფინანსირების ან საკუთარი სახსრებით დაფარვის შედეგად წინსწრებით დაფარვის საკომისიოს პირობები და ზღვრული ოდენობა.

კანონმდებლობით კიდევ ერთხელ დაზუსტდა ის, რომ ეროვნულ ბანკს უფლება აქვს კომერციული ბანკებისა და საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლებისგან მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი - მათ შორის, კონფიდენციალური - ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ფინანსური ინსტიტუტების, მათ შორის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღმკვეთი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობას. მონიტორინგს ექვემდებარება აგრეთვე საექვო გარიგების დადების მცდელობა ან სხვა ფაქტი (გარემოება),

რომელიც სამსახურის წერილობითი მითითების შესაბამისად შეიძლება უკავშირდებოდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას ან ტერორიზმის დაფინანსებას. თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია საქართველოს კანონით - „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ“ - გათვალისწინებულ ფინანსურ ანგარიშგებას არ წარუდგენს საქართველოს ეროვნულ ბანკს წელიწადში ორჯერ, დადგენილი ფორმითა და პერიოდულობით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გააუქმოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაცია.

მე-2 ქვეთავში - მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და მათი საქმიანობის სრულყოფის საკითხები - შესწავლილი და განსაზღვრულია საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, როგორც ფინანსური სისტემის შემადგენელ სუბიექტებს, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ისინი წარმოადგენენ ფინანსური ინფრასტრუქტურისა და საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს. საბაზრო ეკონომიკის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის საჭიროა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები იყვნენ სწრაფი, უსაფრთხო, საიმედო და ეფექტური ორგანიზაციები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ფინანსური შუამავლობის სახეობაა, რომელიც კომერციული ბანკების ალტერნატივას წარმოადგენს. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის თანახმად - მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს

ეროვნული ბანკის ზედამხედველობით. იგი შეიძლება დაფუძნდეს როგორც შპს ან სააქციო საზოგადოება.

მისო-ები მნიშვნელოვან ფინანსურ ინფრასტრუქტურას წარმოადგენს, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები მიკრო და მცირე მეწარმეებისა და ფერმერებისათვის. ეტაპობრივად ხდება იმის აღიარება, რომ აქტივების ზომით, მსესხებელთა რაოდენობით, რისკების მართვისა და გასესხების სტანდარტებით წამყვანი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები არა თუ ჩამორჩებიან, არამედ უსწრებენ კიდევ მცირე ზომის კომერციულ ბანკებს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ბანკებთან შედარებით მცირე, მოცულობის სესხებს გასცემენ და აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდებაც „მიკრო“.

მიკროდაფინანსება არის კლასიკური საბანკო სესხის მოქნილი ფორმა, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ დაიწყოს ბიზნესი საწყისი კაპიტალისა და საკრედიტო ისტორიის გარეშე და ხელს უწყობს შემდეგი სამი ამოცანის გადაჭრას:

1. მეწარმეების რიცხოვნობის გაზრდა;
2. საგადასახადო შემოსავლების ზრდა;
3. მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით აუცილებელი საბანკო დაფინანსებისათვის დაფინანსების საკრედიტო ისტორიის შექმნა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მომსახურებას უწევენ მეწარმეებს და კომერციულ ბანკებს, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო ფინანსური სისტემის გაძლიერებას. კომერციულ ბანკებზე დაწესებული პირობები ხშირად გაუმართლებელია მეწარმეებისათვის (განსაკუთრებით სესხის უზრუნველყოფისთვის), მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კომერციული ბანკებისაგან განსხვავებით ახორციელებენ მცირე ბიზნესის დაფინანსებას რამდენიმე უპირატესობებით და შედარებით დაბალი რისკით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (მისო) სტატუსის მქონე საქართველოს ეროვნულ ბანკში დარეგისტრირებული 73-მდე ინსტიტუტიდან უმრავლესობა თავისი შინაარსით სამომხმარებლო სესხის კრედიტორია.

მათი საქმიანობა ლეგიტიმურია, მაგრამ გასესხება ეფუძნება არა მომხმარებლის ფინანსების ანალიზს, არამედ მის მიერ სესხის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი ნივთის ან ქონების (ძვირფასეულობა, ავტომობილი ან უძრავი ქონება) შეფასებას, ხოლო სახსრები მიემართება არა ბიზნესის დასაფინანსებლად, არამედ ნემისმიერი სამომხმარებლო საჭიროებისათვის.

ამავე ქვეთავის ბოლოს გაკეთებულია დასკვნები მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის საკითხების, მიკროსაფინანსო სექტორის თავისებურებების, აგრეთვე, გამოვლენილი ნეგატიური და პოზიტიური ტენდენციების თაობაზე.

დასკვნა

სადისერტაციო გამოკვლევის ძირითად დებულებათა განზოგადების საფუძველზე მივიღეთ შემდეგი ზოგადი დასკვნები:

1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემის მნიშვნელოვან დაწესებულებებს წარმოადგენს და მათი საქმიანობის სრულყოფა მდგრადი და სტაბილური საკრედიტო სისტემის არსებობის წინაპირობაა.

2. სადისერტაციო თემაზე მუშაობის შედეგად მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის ძირითადი საკითხები ჩამოვყალიბეთ შემდეგი სახით:

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის მიზნით მართებულად მიგვაჩნია საკანონმდებლო ცვლილება, რომლის შესაბამისად მსესხებელი გადაიხდის არა მხოლოდ პროცენტის ხარჯებს და შემდეგ ძირითად თანხას, არამედ მოხდება სესხის დაფარვა ანუიტეტის წესით.

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის მიზნით მცირე ლიზინგი უნდა შესთავაზონ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა მცირე ბიზნესს და მეწარმე სუბიექტებს. ჩვენი აზრით, აუცილებელია გარკვეული კორექტივების შეტანა კანონმდებლობაში, რათა ზუსტად

განისაზღვროს მიკროლიზინგთან დაკავშირებული პირობები და გადასახდელების ზღვარი.

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის მიზნით მთავრობამ უნდა განხორციელდეს მათ მიერ ბიზნესის დაფინანსება-დაკრედიტების სტიმულირება ფისკალური ბერკეტების გამოყენების გზით, რაც გულისხმობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავლების შეღავათიანი რეჟიმის შემოღებას ან გადასახადიდან განთავისუფლებას.

- მიკროდაფინანსების მიზნებია მცირე საწარმოების დაკრედიტების უაღრესად დინამიური და ეფექტიანი სისტემის შექმნა და დამატებითი სტიმულირება წარმოების განვითარებასა და საქონლისა და მომსახურების განაწილებაში, აგრეთვე დახმარება მათთვის მოგების მიღებასა და კაპიტალის დაგროვების მიზნით გამოცდილების მიღებაში.

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფის მიზნით აუცილებლობად მიგვაჩნია მიკროსაფინანსოების რეგულირების ნორმებთან ერთად, ეროვნულმა ბანკმა (ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად), იზრუნოს იმაზე, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა მიმართული იყოს ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის დაფინანსებაზე, რაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიღებული პრაქტიკაა.

3. სწორედ მიკროსაფინანსო სექტორი და მისი მომხმარებლები უნდა გახდნენ ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის მთავარი მოსარგებლები. მიკროსესხებზე დაწესებულმა შეღავათიანმა საკრედიტო განაკვეთებმა ხელი უნდა შეუწყოს დღევანდელი თვითდასაქმებული მეწარმეების და ფერმერების მცირე და საშუალო ბიზნესის ლიდერებად გარდაქმნას, რომლებსაც თვისებრივად ახალი ეკონომიკური რეალობის შექმნა შეუძლიათ საქართველოში.

4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ მოსახლეობისგან დეპოზიტების მოზიდვა. ისინი ასევე მოკლებულნი არიან შესაძლებლობას,

მონაწილეობა მიიღონ ეროვნული ბანკის რეფინანსირების აუქციონში, ამიტომ დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენს უცხოური სპეციალიზებული ფონდებიდან მიღებული სასესხო კაპიტალი. ეს ფაქტი კი წარმოადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთების ზრდის ერთერთ განმაპირობებელ ფაქტორს.

5. საქართველოში საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების განვითარება ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციით ხასიათდება. შემცირდა კომერციული ბანკების რაოდენობა და გაიზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა, რის მთავარ მიზეზად აღნიშნული სუბიექტების მიერ განსხვავებული საკრედიტო პოლიტიკა მიგვაჩნია. დღეისათვის საქართველოს საკრედიტო ბაზარზე ფუნქციონირებს 16 კომერციული ბანკი და 73 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების შედეგად, სავალდებულოა ორივე საკრედიტო დაწესებულებისთვის საწესდებო კაპიტალის ეტაპობრივად გაზრდა (კომერციული ბანკებისთვის 50 000 000 ლარი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის 1 000 000 ლარი), რაც ჩვენი აზრით შეამცირებს აღნიშნული დაწესებულებების რაოდენობას.

6. ქვეყნის საკრედიტო სისტემაში წარმოშობილი პრობლემების და ჭარბვალიანობის პრობლემიდან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დანერგვის, მდგრადი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და საკრედიტო პორტფელის ეფექტიანად მართვის მიზნით ღონისძიებების გატარება.

7. ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად 2017 წლის 15 იანვრიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებებით შეზღუდვები ამოქმედდა სესხებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და საჯარიმო სანქციის ოდენობის მაქსიმალური

ზღვრის დაწესება, რის შედეგადაც წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 100 %-ს.

8. ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს ამოქმედებამდე, რაც ასევე გულისხმობს ევროკავშირში მოქმედ დირექტივასთან სრულად შესაბამისობაში მოყვანას, 2018 წლის 7 მაისიდან კომერციულ ბანკებს შეეზღუდებათ გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა საზედამხედველო კაპიტალის 25%-ზე მეტად. ჩვენი აზრით, ეს საკანონმდებლო ცვლილება მიმართულია მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, აგრეთვე ქვეყანაში არსებული ჭარბვალიანობის პრობლემის დასარეგულირებლად.

9. საკრედიტო ინსტიტუტების საკრედიტო პოლიტიკაზე და საკრედიტო პორტფელზე ჩატარებული კვლევებიდან, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნათ რომ 2009 წლიდან შეინიშნება კრედიტზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება. თუმცა, საკმაოდ განსხვავებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა. 2017 წლის მონაცემებით, კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის 31% მოდის მცირე და საშუალო ბიზნესზე, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხების ყველაზე მეტი პროცენტული წილი (58%) სამომხმარებლო სესხებზე.

10. სადისერტაციო ნაშრომში განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაანალიზებამ დაგვანახა, რომ ევროპის განვითარებულ ქვეყნების საკრედიტო სისტემა და მისი სტრუქტურა განსხვავდება საქართველოს საკრედიტო სისტემის სტრუქტურისგან. განვითარებული ქვეყნების საკრედიტო სისტემისათვის დამახასიათებელია საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების უფრო ფართი სპექტრი, საქართველოს საკრედიტო სისტემის ძირითად საკრედიტო დაწესებულებებს კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები წარმოადგენს.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი:

1. კომერციული ბანკების ოპერაციები: ლიზინგი და ფაქტორინგი.
2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა და მათი ოპერაციები.
3. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და მათი საქმიანობის სრულყოფის საკითხები.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია

ავტორის მეცნიერულ შრომებში:

1) მიკროსაფინანსო ორგანიზაციები: მათი საქმიანობის არსი და თავისებურებები საქართველოში. სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, ISSN 0206-2828, საქართველო, თბილისი, N9-10, 2017;

2) მიკროსაფინანსო ორგანიზაციები - ქვეყნის საკრედიტო სისტემის ნაწილი. „ეკონომიკა“, ISSN 0206-2828, საქართველო, თბილისი, N9-10, 2017;

3) მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და მათი საკრედიტო პოლიტიკა. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“. N3, 2017.

4) საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკანონმდებლო რეგულირება და მისი სრულყოფის ზოგიერთი საკითხი. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. N1. 2018.

სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა:

1. მეხუთე საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციაზე „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2017 წ., 20-21 ოქტომბერი.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“. 2018 წ.; 25-26 მაისი.